



მონიტორინგის ანგარიში № 02 - 2021

ორგანიზაციის დასახელება	შპს „ბლექ სი შიპინგ რეგისტერი“
აუდიტორები	მარია პოლიაკოვა, დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, , ნინო ასათიანი, ქრისტინე ახალაძე
აუდიტის თარიღი	27.05.2021
მისამართი	საქართველო, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქუჩა №108
აუდიტის ტიპი	გეგმიური მონიტორინგი
წინა აუდიტის თარიღი	02.03.2021

განმარტებები:

შეუსაბამობა - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

შენიშვნა - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.

რეკომენდაცია - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

შესავალი:

მიმდინარე წლის 27 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმიური მონიტორინგი ჩატარდა აღიარებულ ორგანიზაციას. მონიტორინგი ითვალისწინებდა 2021 წლის 02 მარტის მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შენიშვნებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის ადგილზე გადამოწმებას.

2020 წლის მონიტორინგის შენიშვნების შესრულების სტატუსი:

2021 წლის 02 მარტს ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ იქნა სულ: 13 შენიშვნა / შეუსაბამობა. აქედან, მე-4, მე-5, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, და მე-12 შენიშვნა / შეუსაბამობა აღმოფხვრილია.

დღემდე შესასრულებელი ქმედებები: 2021 წლის 02 მარტის მონიტორინგის ანგარიშში დაფიქსირებული შემდეგ ნომრებად: 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6, მე-7 და მე-13 შენიშვნა/შეუსაბამობა ასახულია 2021 წლის 27 მაისის მონიტორინგის ანგარიშში, თუმცა აღნიშნულ მონიტორინგი ანგარიშში ნუმერაცია შეიძლება არ დაემთხვას.



შედეგები:

1. შემაჯამებელი მიმოხილვის შედეგები.

2021 წლის 02 მარტის შემოწმების შემდეგ, პირველი კვარტლის დასრულებისას უნდა ჩატარებინათ 2020 წლის სრული ციკლის შემაჯამებელი მიმოხილვა, რაც ვერ წარმოადგინეს. **ფიქსირდება შეუსაბამობა.**

2. საქმიანობის დაგეგმარება

დაგეგმარებასთან დაკავშირებით 2021 წლის 02 მარტს დაფიქსირებული შეუსაბამობა ძალაში რჩება, რადგან ამჟამად არ ჩანს სისტემური მიდგომა დაგეგმარების განსაზღვრასთან დაკავშირებით. აუდიტზე წარმოდგენილ იქნა 02/04/2021წ. შემუშავებული წლიური სამოქმედო გეგმა BSSR-2-0030. 2021 წლის გეგმაში არ არის შეტანილი 2021 წლის 02 მარტს დაფიქსირებული დაკვირვება, 2020 წელს სასერტიფიკაციო ორგანიზაციის მიერ დაფიქსირებული შენიშვნის კონტროლი - აღმოფხვრა. ასევე გეგმაში არ არის შეტანილი 2020 წლის სრული ციკლის შემაჯამებელი მიმოხილვის ჩატარების ვალდებულება.

ფიქსირდება შეუსაბამობა.

3. რისკები

რისკებთან დაკავშირებული ძირითადი შენიშვნა აღმოფხვრილია, თუმცა 2021 წლის 27 მაისის შემოწმების დროს რისკების რეესტრთან და პროცედურასთან დაფიქსირდა რიგი გარემოებები, რომლებიც მეტყველებენ პროცესში ნაჩქარევად შეტანილ ცვლილებებზე, ესენია:

ა) წარმოდგენილია რისკების რეესტრი BSSR-2-0017. დამტკიცებულია 02/04/2021 წელს. რისკებში წარმოდგენილია 6 რისკი. 6-ვე რელევანტურია ორგანიზაციის საქმიანობასთან (მაგ.: „საქართველოს საზედამხებელო ორგანოს ნორმატიული მოთხოვნების არ შესრულება“ - შეფასებულია „საშუალო“ დონედ. განსაზღვრულია რისკის სავარაუდო შედეგი - „ლიცენზირების შეჩერება; კლიენტების დაკარგვა; საჯარიმო სანქციები“. შემცირების ღონისძიებებში გაწერილია „ნორმატიული მოთხოვნების რეგულარული შესწავლა და დანერგვა“. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის გახსნიდან 2019 წლიდან დღემდე, კომპანიის სააგენტოს მიერ აღიარება ყოველთვის ეჭვის ქვეშ დგას და კომპანიას მოკლე ვადით ეძლევა აღიარება, აღნიშნული რისკი საკმაოდ მაღალია მათთვის და ალბათობაც უფრო მაღალი უნდა იყოს.

გ) მე-3 მექანიკური შეცდომა, რომელიც ფიქსირდება პროცედურაში არის „რისკის ფაილის“ ნომერი Qu.F-004, როდესაც რისკების რეესტრი იდენტიფიცირებულია BSSR-2-00017-ად.

დ) მე-4 საკითხი, რომელიც ბაღებს კითხვას, არის მე-12 პუნქტი - ცვლილებების რეგისტრაციის ფურცელი - რომელიც შეუვსებელია. თუმცა პროცედურის გადახედვის



თარიღად 01.02.2021-ია მითითებული. შესაბამისად ვერ დგინდება კონკრეტულად რა ტიპის ცვლილება განხორციელდა ან/და უბრალო გადახედვა იყო.

ე) მე-5 საკითხი, რომელიც დახვეწას მოითხოვს მდგომარეობს შემდეგში, კერძოდ, რისკების რეესტრში მითითებულია „ზეგავლენის“ და „ალბათობის“ ციფრი, რის მიხედვითაც ხდება ორი ციფრის გამრავლება და „რისკის დონის“ დადგენა. არც პროცედურა და არც რისკების რეესტრში არ ჩანს თითოეული რიცხვის აღნიშვნა. კერძოდ, ალბათობაში 2-ის მითითება რა სიხშირის აღმნიშვნელია, ან/და „ზეგავლენის“ ციფრი 10, რა სიმძიმის მატარებელია.

ვ) მე-6 საკითხი, რომელიც რისკების მართვის პროცედურას QU-PR-01 უკავშირდება, არის მექანიკური შეცდომა, როდესაც პროცედურაში მე-8 პუნქტში „რისკების შეფასების გასაღები და პრიორიტეტების განსაზღვრის კრიტერიუმები“ - რისკის დონის დასადგენად გამოყენებულია ტერმინი „სიმძიმე“. რისკების რეესტრში BSSR-2-00017, აღნიშნულია „ზეგავლენა“.

ფიქსირდება შენიშვნა.

4. შემდუღებლის პროცედურა.

მცურავ საშუალებას სარემონტო სამუშაოების დროს, როგორც მცურავ დოკში/რემონტში, ორგანიზაციის მიერ არ არის გაწერილი შემდუღებლის პროცედურა, თუ ვინ უნდა ჩაატაროს შედუღების ოპერაციები. ორგანიზაციამ წარადგინა პროცედურა, მაგრამ არ პასუხობს და არის მორგებული ორგანიზაციის წესებზე.

ფიქსირდება შენიშვნა.

5. გემის ტიპის/ტონაჟის სერტიფიკატი.

ტენიკური ზედამხედველობის დოკუმენტში არ არის აღნიშნული თუ რა ტიპის სერტიფიკატებს გასცემენ გემის ტიპის/ტონაჟის მიხედვით. რეკომენდაცია - აღნიშნულის შესახებ უნდა გაიწეროს პროცედურებში. ორგანიზაციამ წარმოადგინა სერტიფიკატების და მოწმობების რეესტრის, სხვადასხვა ტიპის გემებისთვის, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების ვერ პასუხობს შესაბამისი საერთაშორისო/შიდა სტანდარტებს.

ფიქსირდება შენიშვნა.

6. სერვის პროვაიდერების პროცედურა.

სააგენტოს მიერ მოთხოვნილი იქნა აღიარებული ორგანიზაციის მიერ აღიარებული/ავტორიზებული სერვის პროვაიდერების მონაცემები და აღიარების პროცედურა, რომლებიც ჩართული არიან სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად: ჰიდრაულიკური გამოცდები, სამაშველო ტივების შემოწმება, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების (ცეცხლმაქრის) შემოწმება და სხვა. ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურა თუ სახელმძღვანელო აღიარება /ავტორიზაციასთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ წარმოადგინა შემუშავებული პროცედურა BSSR-SOP-04, რომელიც არ იყოს სრულფასოვნად გაწერილი და ასევე არ პასუხობდა აღნიშნული შენიშვნის აღმოფხვრას, რადგან პროცედურა არ ითვალისწინებდა სერვის პროვაიდერების აღიარების სტანდარტს.



ფიქსირდება შენიშვნა.

დასკვნა:

2021 წლის 27 მაისის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ორგანიზაციამ მოაწესრიგა სამუშაო გარემო, გადასულია 2 ოთახიან ბიზნეს სივრცეში, სადაც ერთი ოთახი არის სამუშაო, ხოლო მეორე დათმობილია შეხვედრებისთვის, მაგრამ კომპანიამ ვერ წარმოადგინა იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება.

ასევე, აღსანიშნია, რომ საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნა თუ შეუსაბამობა აღმოფხვრილია და მეტყველებს ორგანიზაციის აქტიურ მუშაობაზე, მაგალითად, ვებგვერდის მოდერნიზაცია მოწონებას იმსახურებს. გეგმების პირადი საქმეებიც მოწესრიგებულია.

თუმცა, კვლავ აღინიშნება არასისტემური და ნაკლებად გათვითცნობიერებული მიდგომა ხარისხის მართვის სისტემის მიმართ, რაც იწვევს ამდენ შეუსაბამობას აუდიტის პროცესში. საკლასიფიკაციო ორგანიზაციაში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა უნდა იყოს თანხვედრაში ორგანიზაციის საქმიანობასთან, რაც მოთხოვნილია საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით.

ამასთანავე, ორგანიზაციას დღემდე აქვს პრობლემები დელეგირებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა დაფიქსირებული შენიშვნა ატარებს კრიტიკულ ხასიათს და აღიარებულ ორგანიზაციას ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩაბარებიდან ეძლევა 1 (ერთი) თვის ვადა ყველა გარემოების აღმოფხვრისთვის და წარმოუდგინოს სააგენტოს შესაბამისი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზაციას ჩამოერთვება სააგენტოს აღიარება.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე

ირაკლი სირაბიძე

მარია პოლიაკოვა

ქრისტინა ახალაძე

ნინო ასათიანი

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: 04.06.2021

ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):

კახა კახიძე ქ. კახიძე